ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №39
2015 წლის 17 აპრილი

ქ. ახმეტა

„ახმეტის მუნიციპალიტეტის გამგეობის დებულების დამტკიცების შესახებ“ ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 5 აგვისტოს №26 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1

„ახმეტის მუნიციპალიტეტის გამგეობის დებულების დამტკიცების შესახებ“ ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 5 აგვისტოს № 26 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 11/08/2014, 010250020.35.162.016243) შეტანილ იქნეს შემდეგი სახის ცვლილებები:

1) ახმეტის მუნიციპალიტეტის გამგეობის დებულების მე-11 მუხლის მე-4 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი სახით:

„ბ) საფინანსო-საბიუჯეტო და მუნიციპალური შესყიდვების სამსახური, რომელსაც აქვს ერთი განყოფილება:“.

2) ამოღებულ იქნეს მე-11 მუხლის მე-4 პუნქტის „ბ.ბ“ ქვეპუნქტი.

3) მე-11 მუხლის მე-4 პუნქტს დაემატოს შემდეგი სახის „კ“ ქვეპუნქტი:

„კ) ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა სამსახური.“.

4) მე-12 მუხლის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. საფინანსო-საბიუჯეტო და მუნიციპალური შესყიდვების სამსახურის ფუნქციებია: თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის პროექტის მომზადების, მუნიციპალური პროგრამების საფინანსო გაანგარიშება-დასაბუთების, მიღებული ბიუჯეტის შესრულების, საბიუჯეტო სახსრების მიზნობრივი, მიზანშეწონილი და ეფექტიანი გამოყენებისა და ბიუჯეტის შესრულების შესახებ ანგარიშგების უზრუნველყოფა, საბუღალტრო, შესყიდვების უზრუნველყოფა, აგრეთვე გამგეობაში მომზადებული საფინანსო დოკუმენტების ვიზირება.“.

5) მე-12 მუხლს დაემატოს შემდეგი სახის 8^1 პუნქტი:

„8^1. ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა სამსახურის ფუნქციებია: ჯანმრთელობის, სოციალური დაცვისა და დასაქმების მუნიციპალური პროგრამების შემუშავება და განხორციელება, უსახლკაროთა რეგისტრაცია და მათი თავშესაფრით უზრუნველყოფა.“.

6) 12^1 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ და „პ“ ქვეპუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ა) ქალაქ ახმეტის ადმინისტრაციული ერთეული, რომელიც მოიცავს: ქალაქ ახმეტასა და სოფელ ქვემო ჩოფჩაურს;“;

„პ) შახვეტილას ადმინისტრაციული ერთეული, რომელიც მოიცავს: სოფელ ბუხრებს, სოფელ ვეძებს, სოფელ ნადუქნარს, სოფელ საბუეს, სოფელ შახვეტილას, სოფელ ჩაჩხრიალას, სოფელ ჭართალას, სოფელ ჯაბურს, სოფელ ბუღაანს.“.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ახმეტის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე

გელა ჯუგაშვილი